



## დავის ალტერნატიული გადაწყვეტის საშუალებების გამოყენება აონაურენციის სამართალში – ავროპული მოდელი<sup>1</sup>

### გიორგი ცერცვაძე

იურიდიული ფირმა „ჯეი ენდ თი ქონსალტინგის“ დამფუძნებელი  
 და მმართველი პარტნიორი, სამართლის დოქტორი,  
 ასოცირებული პროფესორი

**რეზიუმე.** დღესდღეობით, კონკურენციის ზრდის პარალელურად გარდაუვალია ეკონომიკური აგენტების მიერ კონკურენციის სამართლის ნორმათა დარღვევის შემთხვევები, რომელთა ფარგლებში წარმოშობილი დაავების სწრაფად და ეფექტიანად მოგვარება, აქტიურ სავაჭრო პირობებში, მნიშვნელოვანია. ამის გათვალისწინებით წინამდებარე სტატია მიმოიხილავს დაავების ალტერნატიული გადაწყვეტის საშუალებებს, როგორც ხელსაყრელი და ეფექტიანი მექანიზმის აქტუალობას და პოტენციალს კონკურენციის სამართლის სფეროში. სტატიაში, ევროპული მოდელისა და პრაქტიკის საფუძველზე, განხილული იქნება კონკურენციის ნორმათა დარღვევისას წარმოშობილი დავის ფარგლებში დაავების ალტერნატიული გადაწყვეტის საშუალებების – მოლაპარაკება/მორიგების, მედიაციისა და არბიტრაჟის მოქმედი პრინციპების ეფექტიანობა და საპროცესო საკითხები, ამასთან, კონკურენციის სამართლის სპეციფიკისთვის დამახასიათებელი თავისებურებები და მისი განსხვავებული რეგულირების საჭიროება.

**საკვანძო სიტყვები:** კონკურენცია, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები, კერძო აღსრულება

### შესავალი

დრმა და ყოვლისმომცველი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების<sup>2</sup> ფოკუსში ქართული ბიზნესისთვის უმნიშვნელოვანესი ორი სფერო – დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები და კონკურენცია მოექცა<sup>3</sup>. უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში ორივე მიმართულების საკანონმდებლო რეგულირების

1. განსაკუთრებული მადლობა ჩემს უმცროს კოლეგას და მეგობარს ნანა თურმანიძეს სტატიაზე მუშაობის პროცესში გაწეული დახმარებისათვის.
2. ევროკავშირთან დრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA). იხ. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ვებგვერდი: <<http://www.economy.ge/index.php?page=economy&s=7>> [ბოლოს გამოხმობილია 04.03.2022].
3. ევროკავშირთან დრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) მე-10 და მე-14 თავი.